# შედგა სსკგ-ს თავმჯდომარის შეხვედრა უნგრეთის ვიცე-პრემიერთან



2021 წლის 7 სექტემბერს, უნგრეთის მთავრობის მეთაურის ოფიციალურ რეზიდენციაში შედგა სსკგ-ს თავმჯდომარის, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონის შეხვედრა ქვეყნის ვიცე-პრემიერ ჟოლტ შემენთან.

უნგრეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გულთბილად მიესალმა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ მას უნგრეთში კარგად იცნობენ, მათ შორის მისი საერთაშორისო საქმიანობით და ასევე თეოლოგიური და მუსიკალური ნაწარმოებებით. ჟოლტ შემენმა აღნიშნა, რომ ამჟამად უნგრეთისა და რუსეთის მართლმადიდებელი

ეკლესიის ურთიერთობა ძალიან მაღალ დონეზეა და მხარეებს საშუალებას აძლევს ერთად იმუშაონ რიგი ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად.

მიტროპოლიტმა ილარიონმა ჟ. შიმენს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს მისალმება გადასცა და აღნიშნა, რომ მისი უწმინდესობა არაერთხელ შეხვედრია ახლანდელ ვიცე–პრემიერს. იერარქმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ შესაძლებლობა მიეცა, მონაწილეობა მიეღო ბუდაპეშტში საერთაშორისო ევქარისტიული კონგრესის მუშაობაში და ასევე, შეხვედრები გაემართა უნგრეთის რიგ პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერებთან.

მოსაზრებათა გაცვლისას, რომელიც საათ-ნახევარზე მეტხანს გაგრძელდა, მხარეებმა ფართო სპექტრის საკითხები განიხილეს, რომლებიც ეხმიანება ამჟამად განხორციელებულ ერთობლივ პროექტებს. აღნიშნულ იქნა ბუდაპეშტის მიძინების ტაძრის მიმდინარე რესტავრაციაში ძალისხმევის კოორდინაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა, ასევე პოზიციების ფუნდამენტური თანხვედრა საერთაშორისო პრობლემების მნიშვნელოვან ნაწილში და ფუძემდებელი ზნეობრივი ნორმების დაცვის მნიშვნელობის შეფასებაში.

შეხვედრის დასასრულს, რომელშიც მონაწილეობა მიიღო უნგრეთში რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ე. ა. სტანისლავოვმა და ბუდაპეშტისა და უნგრეთის ეპარქიის მმართველის თანაშემწემ, მღვდელმა სვიატოსლავ ბულახმა, მიტროპოლიტმა ილარიონმა და ჟ. შემენმა სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს.

*სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური*

---

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87975/